

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2018 წლის ---- მარტი

ქ. ოზურგეთი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი.

2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს:

ა) საკურორტო და რეკრეაციულ ზონებში:

ა.ა) სააგარაკო და ინდივიდუალური სახლებისათვის-1 ლარი;

ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) -1 ლარი;

ა.გ) სამრეწველო ობიექტი-5 ლარი;

ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეზილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის - 0.50 ლარი;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე:

ბ.ა) კომერციული დანიშნულების ობიექტებისათვის-1 ლარი;

ბ.ბ) ინდივიდუალური სახლებისათვის-0,50 ლარი;

გ) მოცულობითი ნაგებობებისათვის (მიწისზედა და მიწისქვეშა)-0.50 ლარი;

დ) ობიექტის დემონტაჟი-0,50 ლარი;

ე) ხაზოვან ნაგებობებზე:

ე.ა) I, II , III კატეგორიის ნაგებობებზე -0.30 ლარი;

ე.ბ) IV,კატეგორიის ნაგებობებზე -0.50 ლარი;

ვ) მოცულობითი ნაგებობები-0.50 ლარი.

3. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

4. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის N47 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 24/12/2014 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016205).

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

დანართი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია

ეს ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, განახორციელოს შენობა - ნაგებობების მშენებლობა ნებართვაში მითითებულ ვადებში.

2. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიმღების უფლებას, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ნებართვაში მითითებულ ვადებში.

მუხლი 2. მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე/მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირი.

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხდელი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელნი არიან მშენებარე ობიექტების მესაკუთრე/მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებმაც სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად სჭირდებათ მშენებლობის ნებართვა.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდის წესი და ვადები

1. მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადახდა ხდება წინასწარ ნებართვის გაცემამდე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2. მოსაკრებლის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (სპეციალურ სახაზინო კოდზე) თანხის შეტანის გზით.

მუხლი 5. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

1. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

ა) სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის ნაცვლად ახალი მშენებლობა, თუ ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართი არ აღემატება დაზიანებული ობიექტით დაკავებულ ფართს;

ბ) სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების (სასმელი წყლისა და კანალიზაციის) სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს;

გ) მოსაკრებლის განაკვეთი 50%-ით მცირდება სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის ნაცვლად ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულ ფართზე, რომლითაც იგი აღმატება დაზიანებული ობიექტით დაკავებულ ფართს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით ამავე ქვეპუნქტში მითითებული სუბიექტების მიერ წარმოდგენილ პროექტებზე.

განმარტებითი ბარათი

„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტი, 61-მუხლის მე-2 ნაწილი, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტი და ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთებს.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ“ (ვებგვერდი, 29/07/2017 სარეგისტრაციო კოდი 010250000.04.001.016203) მე-2 მუხლის მე-5 ნაწილთან, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 20 აპრილი.